თამარ ორჯონიკიძე

პოლიტიკის მეცნიერების მაგისტრი

დიასპორებთან დაკავშირებული საკითხები ქართული პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამებში საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დროს

აბსტრაქტი

ისტორიული დიასპორების გარდა, საქართველოს მილიონზე მეტი მოქალაქე დღეს უცხოეთში იმყოფება. მათი დიდი ნაწილი დროებით მიგრანტად უნდა ჩავთვალოთ, რომლებიც უცხოეთში სამუშაოს საძებნელად არიან წასულნი. დიასპორას უდიდესი მნიშვნელობა აქვს როგორც მისი წარმომადგენლების ოჯახებისათვის, ასევე საქართველოს ეკონომიკისთვისაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, საქართველოს კარგად გათვლილი პოლიტიკა ესაჭიროება დიასპორებთან დაკავშირებით.

დიასპორის წევრთა ინტერესის სფეროების, პრობლემებისა და საქართველოსთან მათი უფრო მჭიდროდ დასაკავშირებელი გზების შესწავლა და შესაბამისი პოლიტიკის შემუშავება ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქართული პოლიტიკური პარტიებისათვის. სტატიაში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკური სუბიექტების წინასაარჩევნო პლატფორმების კონტენტ-ანალიზის საფუძველზე გაანალიზებულია მათ მიერ წარმოდგენილი ხედვები დიასპორასთან ურთიერთობის თაობაზე. კერძოდ, განხილულია იმ პოლიტიკური პარტიების საარჩევნო პროგრამების დიასპორასთან დაკავშირებული ნაწილები, რომელთაც გადალახეს 5%-იანი ბარიერი და მოხვდნენ პარლამენტში. („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“; „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“; „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“). ასევე წარმოდგენილია იმ პარტიების პროგრამები, რომელთაც გადა-

ლახეს 3%-იანი ბარიერი („ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“; „ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები“; „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“; „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“).

„ქართული ოცნება“, სხვა პარტიებთან შედარებით, დიდ ადგილს უთმობდა დიასპორებს საკუთარ საარჩევნო პროგრამაში. პარტია ყურადღებას ამახვილებდა იმ პროექტებზე, რომლებიც უკვე განხორციელდა და რომელთა განხორციელებაც იგეგმებოდა გამარჯვების შემთხვევაში. სტატიაში „ქართული ოცნების“ წინაასაარჩევნო პლატფორმის დიასპორებთან დაკავშირებული ნაწილი შედარებულია მათი ხელისუფლების პირობებში შემუშავებულ „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია“-სთან. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობისა“ და „ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატების“ საარჩევნო პროგრამებში არაფერი იყო ნათქვამი საზღვარგარეთ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე. „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ წინასაარჩევნო პროგრამაში დიასპორებზე საუბრისას მხოლოდ თურქეთში მცხოვრებ ქართულ ისტორიულ დიასპორაზე ამახვილებდა ყურადღებას. „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“ დიასპორასთან დაკავშირებით უცხოეთში „ქართული სახლების“ შექმნის მნიშვნელობაზე საუბრობდა, რომლებიც ორიენტირებული იქნებოდა ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ განიხილავდა „დაბრუნების ფონდის“ მნიშვნელობას, რომელიც მოემსახურებოდა საქართველოდან წასულთა უკან დაბრუნებას, მათ მოწყობასა და ადაპტაციას. „ქართულმა ოცნებამ“ დიასპორული პოლიტიკის გატარებისას შესაძლებელია გაითვალისწინოს სხვა პარტიათა ინიციატივები. მაგ. „ქართული სახლები“ და „დაბრუნების ფონდი“.

საკვანძო სიტყვები: საქართველო; დიასპორის პოლიტიკა; პოლიტიკური პარტიები; არჩევნები.

შესავალი

თანამედროვე ქართული დიასპორის რაოდენობასთან დაკავშირებით, სამწუხაროდ, დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატს დაზუსტებული მონაცემები არ გააჩნია, ვინაიდან, როგორც ისინი განმარტავენ, საზღვარგარეთ ჩვენი თანამემამულეების დიდი ნაწილი არალეგალურად იმყოფება, შესაბამისად, ისინი არ არიან საკონსულო აღრიცხვაზე. ამასთან, საკმაოდ დიდია სხვადასხვა ქვეყნებში მათი გადაადგილების ინტენსივობა. ზუსტი რადენობა უცნობია, თუმცა ფაქტია, რომ საქართველოს მოქალაქეთა საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი იმყოფება საზღვარგარეთ და შესაბამისად პოლიტიკურ პარტიებს საკმაოდ სერიოზული მუშაობა სჭირდებათ მათი ხმების მოსაპოვებლად. საზღვარგარეთ მყოფი მოქალაქეები, მათი რაოდენობის გათვალისწინებით, შესაძლოა პარტიებისათვის არჩევნებზე ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული სამიზნე ჯგუფი აღმოჩნდეს. მათი ხმების მიღება კი არჩევნებში წარმატების მიღწევის მნიშვნელოვან წინაპირობად ჩაითვალოს.

დიასპორაზე, მის მნიშვნელობაზე სახელმწიფოსათვის ბევრი მეცნიერის სტატია არსებობს, თუმცა არ იძებნება ლიტერატურა პოლიტიკური პარტიების დიასპორის პოლიტიკაზე (Vertovec, S. 2005).

წინამდებარე სტატიაში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე რამდენიმე პოლიტიკური პარტიის პროგრამების კონტენტ-ანალიზის საფუძველზე შევეცადეთ წარმოგვეჩინა მათი პოლიტიკა დიასპორებთან დაკავშირებით.

როგორც აღმოჩნდა, ქართული პოლიტიკური პარტიების გარკვეულ ნაწილს დიასპორის პოლიტიკასთან დაკავშირებული საკითხები საკუთარ საარჩევნო პროგრამაში არ ჰქონდათ შეტანილი საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებისას. ამ მხრივ გამონაკლისია „ქართული ოცნება“, რომელიც დიდი ადგილს უთმობდა და დეტალურად აწვდიდა ამომრჩეველს ხედვას ამ საკითხებთან დაკავშირებით. პროგრამების გაცნობისას გამოიკვეთა, რომ იმ პარტიებიდან, რომელთაც გადალახეს 5%-იანი ბარიერი და

მოხვდნენ პარლამენტში, ასევე პარტიებს, რომელთაც მიიღეს 3%-ზე მეტი ხმა, მხოლოდ მცირე ნაწილს აქვს გარკვეული გეგმა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებთან მუშაობისათვის. ბევრი მათგანი საერთოდ არ ახსენებდა მიგრანტებს საკუთარ საარჩევნო პროგრამაში, ზოგი კი შემოიფარგლებოდა მხოლოდ დაპირებით იმის შესახებ, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში „საქართველოში აუცილებლად შეიქმნება შესაბამისი პირობები იმისათვის, რომ საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეები დაუბრუნდნენ მშობლიურ მიწას“.

ჰიპოთეზა: პარტიების წინასაარჩევნო პლატფორმებში მცირე ყურადღება ეთმობა დიასპორის საკითხებს და მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის შემთხვევაში განსაზღვრავს მმართველი პარტია დიასპორულ პოლიტიკას.

კვლევის მეთოდი: საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა პლატფორმების კონტენტ-ანალიზი.

არაოფიციალური სტატისტიკა

არაოფიციალურ სტატისტიკურ მონაცემებით, როგორც ირკვევა, საზღვარგარეთ მცხოვრები ჩვენი თანამემამულეების რაოდენობა შეადგენს დაახლოებით 1 607 744 ადამიანს. აქედან ყველაზე მეტი თანამემამულე რუსეთის ფედერაციაში ცხოვრობს. მათი რაოდენობა 800 ათასს აღწევს, რომელთაგან 285 915 (2009წ.) რუსეთის ფედერაციის მოქალაქეა. მეორე ადგილზეა საბერძნეთი, სადაც თანამემამულეების რიცხვი 250 ათას ადამიანს შეადგენს, თუმცა აქედან 100 000-მდე ეთნიკური ბერძენია. მას მოსდევს უკრაინა (150 ათასი). თანამემამულეების სიმრავლით ასევე გამოირჩევიან შემდეგი ქვეყნები: თურქეთი (100 ათასი), ამერიკის შეერთებული შტატები (80 ათასი), აზერბაიჯანი (35 000), ესპანეთი (30 ათასი), გერმანია (25 ათასი) და ა.შ.

დიასპორის სიმცირით გამოირჩევიან ავსტრალია (20), იაპონია (100), ყირგიზეთი (200), ლიტვა (300). ლატვიაში, ესტონეთში, სლოვაკეთში, რუმინეთში, მოლდოვასა და ტაჯიკეთში ქართული დიასპორა შეადგეს დაახლოებით 500 ადამიანს თითოეულ ქვეყანაში. რაც შეეხება ისტორიულ დიასპორას - თურქეთში მათი რაოდენობა მილიონზე მეტია, ხოლო ირანში 35 ათასს აღწევს.

დიასპორის ისტორია

საქართველო საინტერესო ისტორიული მაგალითია, რომელმაც ემიგრაციის რამდენიმე ეტაპი გაიარა. საქართველოში კულტურული, პოლიტიკური და სოციალური ემიგრაცია განხორციელდა. აქედან კულტურული ემიგრაცია ნებაყოფლობითი იყო, სხვები კი - იძულებითი.

კულტურული ემიგრაცია დაკავშირებული იყო ქართველი ხალხის კულტურულ–საგანმანათლებლო და რელიგიურ მოღვაწეობასთან ქვეყნის ფარგლებს გარეთ: პალესტინაში, სირიაში, საბერძნეთში, ბულგარეთში და სხვაგან. ამ ემიგრაციის შედეგად აღმოცენდა ქართული კულტურის უძველესი კერები საზღვარგარეთ.

პოლიტიკური ემიგრაცია დაკავშირებული იყო საქართველოს, როგორც სახელმწიფოს ტრაგედიასთან. ის რამდენიმე ეტაპს მოიცავს:

პირველი, მრავალრიცხოვანი ემიგრაცია, როდესაც საქართველო კულტურისა და ინტელექტისაგან დაიცალა, იყო ვახტანგ VI-ის დროს, 1724 წელს. ის 1000 კაციანი ამალით წავიდა სამშობლოდან. მათ შორის იყვნენ, სულხან–საბა ორბელიანი, ვახუშტი ბატონიშვილი და ინტელიგენციის სხვა წარმომადგენლები.

მეორე ემიგრაცია რუსეთის იმპერიას უკავშირდება. 1801 წელს, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო გააუქმა ალექსანდრე 1–მა და გასცა ბრძანება, რომ არც ერთი ბაგრატიონი არ დარჩენილიყო საქართველოში, რათა ტახტის რესტავრაცია შეუძლებელი ყოფილიყო.

მესამე დიდი პოლიტიკური ემიგრაცია 1921 წლის თებერვალ–მარტში განხორციელდა. მთავრობა ბათუმში ჩავიდა და იქიდან გასულმა გემმა გაიყვანა როგორც პოლიტიკოსები, ასევე მეცნიერები, მწერლები და ა.შ.

უკანასკნელ ათწლეულებში განხორციელებულ ემიგრაციას, უფრო მეტად სოციალური ხასიათი ჰქონდა, რისი მიზეზიც საქართველოში არსებული პოლიტიკური კრიზისით, ეთნოკონფლიქტებით და გარდამავალი ეტაპით გამოწვეული სოციალურ–ეკონომიკური პრობლემები გახდა. ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, საბჭოთა კავშირის დაშლის წინ, ქართველთა 97% თავის სამშობლოში, საქართველოში ცხოვრობდა და მსოფლიოში ერთ–ერთ ყველაზე „კონსოლიდირებულ“ ერად ითვლებოდა. თუმცა მოგვიანებით ეს ვითარება შეიცვალა. ბოლო მონაცემებით, ქვეყნიდან სულ მილიონიდან, მილიონნახევრამდე ადამიანია გასული.

არჩევნების შედეგებიდან გამომდინარე, პირველ რიგში წარმოვადგენთ „ქართული ოცნების“ წინასაარჩევნო ხედვას და მას შევადარებთ „საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგიას" სიახლეების წარმოსაჩენად, რადგანაც „ქართული ოცნება“ უკვე მეორე ვადით იმყოფება ხელისუფლებაში.

„საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია“[1] შეიქმნა 2015 წელს მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის მი-

[1] 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია მიგრაციის პოლიტიკის განმსაზღვრელი რიგით მესამე სტრატეგიული დოკუმენტია საქართველოსათვის. მსგავსი მიზნების მქონე პირველი დოკუმენტი 1997 წელს შეიქმნა, ეს იყო საქართველოს პრეზიდენტის მიერ დამტკიცებული საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის კონცეფცია, რომელშიც წარმოდგენილი იყო სახელმწიფოს ხედვა იმიგრაციული პროცესების რეგულირების,საერთაშორისო დაცვის და შიდა მიგრაციის შესახებ. კონცეფცია ძირითადად დეკლარაციულ ხასიათს ატარებდა და არ გააჩნდა განხორციელების მექანიზმი კონკრეტული სამოქმედო გეგმის სახით. საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებულმა 2013-2015 წლების მიგრაციის სტრატეგიამ და მისმა სამოქმედო გეგმამ საფუძველი ჩაუყარა მიგრაციის მართვის მექანიზმების ინსტიტუციურ განვითარებას საქართველოში; გადაიდგა მნიშვნელოვანი ნაბიჯები საკანონმდებლო ბაზის დახ-

ერ. დოკუმენტი რამდენიმე თავს მოიცავს და დეტალურადაა მოცემული გადასადგმელი ნაბიჯები და მათი განხორციელების გზები. დოკუმენტში მოცემულია, რომ საქართველოს მიგრაციის პოლიტიკის მიზანია, 2020 წლისთვის საქართველოში მიგრაციის მართვის ისეთი საკანონმდებლო და ინსტიტუციური სივრცის შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ქვეყნის ევროკავშირთან კიდევ უფრო დაახლოებას; ხელს შეუწყობს სხვადასხვა რელიგიური, კულტურული და ეთნიკური ჯგუფების მშვიდობიან თანაცხოვრებას, იმიგრანტთა უფლებების დაცვას და საზოგადოებაში წარმატებულ ინტეგრაციას; ხელს შეუწყობს დაბრუნებული მიგრანტების რეინტეგრაციას, მიგრაციის დადებითი ეკონომიკური და დემოგრაფიული ასპექტების გამოყენებას ქვეყნის განვითარებისთვის და გაზრდის საქართველოს მოქალაქეების ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობებს. სტრატეგის სამიზნე ჯგუფს სხვადასხვა კატეგორიის ადამიანები წარმოადგენენ. მათ შორის საზღვარგარეთ მყოფი საქართველოს მოქალაქეები და დიასპორის წარმომადგენლები. ასევე, საქართველოში დაბრუნებული მიგრანტები (მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია, 2015).

„ქართული ოცნება“

„ქართული ოცნება“, სხვა პარტიებთან შედარებით, დიდ ადგილს უთმობდა დიასპორებს საკუთარ საარჩევნო პროგრამაში. პარტია ამომრჩეველს ახსენებდა უკვე ჩატარებულ ღონისძიებებს ამ მიმართულებით და ასევე გამოყოფდა პუნქტებს, რომელსაც ჰპირდე-

---

ვეწისა და ევროპულ კანონმდებლობასთან დაახლოებისკენ. ამჟამად, დინამიურად ვითარდება თანამშრომლობა ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებთან და სხვა ქვეყნებთან ლეგალური მიგრაციის შესაძლებლობების გაფართოების, არალეგალური მიგრაციის და ტრანსნაციონალური და ტრანსსასაზღვრო ორგანიზებული დანაშაულის პრევენციის კუთხით. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოს მოქალაქეთა დაბრუნებისა და რეინტეგრაციის ხელშეწყობის მექანიზმების განვითარებას. http://diaspora.gov.ge/nd/wp-content/uploads/2016/03/2016-2020ww.migraciis%20strategia.pdf

ბოდა, რომ შეასრულებდა არჩევის შემთხვევაში. ქართული ენისა და თვითმყოფადობის დაცვას ხაზი ჰქონდა გასმული პროგრამაში და ასევე აღნიშნული იყო, დიასპორასა და საქართველოს კავშირის კიდევ უფრო მეტად განმტკიცების მნიშვნელობა. პროგრამაში ხაზგასმული იყო ის მნიშვნელოვანი როლი, რომელსაც ასრულებს დიასპორა საქართველოს ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. პროგრამაში მოცემული იყო ასევე, რომ აუცილებელია და იგეგმება უფრო მეტი მუშაობა საქართველოს პოპულარიზაციისათვის დიასპორაში და მისი საინვესტიციო და ინტელექტუალური რესურსების ეფექტურად გამოყენება, აღნიშნულია სხვადასხვა სფეროში უკვე განხორციელებული „დიასპორული ინვესტიციები".

სტრატეგიისაგან განსხვავებით ქართული ოცნების საარჩევნო პროგრამაში ყურადღება გამახვილებული იყო ასევე ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: საზღვარგარეთ საკვირაო სკოლების ხელშეწყობა, პედაგოგების გადამზადება და ერთიანი სასწავლო პროგრამა; ახალგაზრდული პროექტების განვითარება და საზაფხულო ბანაკები; პროგრამის მიხედვით, „ქართული ოცნება" აპირებს უცხოეთში ქართული ენისა და ლიტერატურის პოპულარიზაციას და ქართული ენის შემსწავლელი კურსების ქსელის განვითარებას. პროგრამაში ასევე მოცემული იყო დაპირება იმის შესახებ, რომ შემუშავდება და განხორციელდება ლევილის მამულის, როგორც კულტურულ-ისტორიული ცენტრის განვითარების სამოქმედო გეგმა; მმართველი პარტია ამომრჩეველს ასევე ჰპირდებოდა „დიასპორულ ორგანიზაციად" აღიარების კრიტერიუმების განსაზღვრას და დიასპორული ორგანიზაციების სტრუქტურული გაძლიერების ხელშეწყობას („ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო", საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები).

სტრატეგია	პლატფორმა
1. ფულადი გზავნილების პოტენციალის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისკენ მიმართვა.	1. უცხოეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისა და საქართველოში მათი ოჯახის წევრების ჩართულობა სამეწარმეო და ინოვაციების ხელშემწყობ სამთავრობო პროგრამებში;
2. აქტიური საინფორმაციო კამპანიის და ცნობიერების ამაღლებისკენ მიმართული ღონისძიებების ორგანიზება საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ.	2. უზრუნველყოფილი იქნება „ერთი ფანჯრის“ პრინციპზე დაფუძნებული საინფორმაციო-საკონსულტაციო სერვისი;
3. საქართველოს ინტეგრაციის პოლიტიკის დახვეწა; ასევე, შესაძლოა დღის წესრიგში დადგეს შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს გადახედვის და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავების საკითხი.	3. გაძლიერდება სამშობლოში დაბრუნებული საქართველოს მოქალაქეებისათვის სარეინტეგრაციო სამთავრობო პროგრამა;
4. მნიშვნელოვნად განახლდება მიგრაციის სფეროს მარეგულირებელი საქართველოს კანონმდებლობა.	4. გადაიხედება უცხოეთში მცხოვრები თანამემამულის სამართლებრივი სტატუსის და მოწმობის გაცემის წესი
5. ნაცვალგების პრინციპის დაცვით, საერთაშორისო ხელშეკრულებების დადება ხელშემკვრელ სახელმწიფოებში საქართველოს მოქალაქეების უვიზო შესვლისა და მოკლევადიანი ყოფნის უფლებით სარგებლობის შესახებ.	5. საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების ლეგალური გადაადგილების პროცედურების გამარტივება; მუშაობა პარტნიორ ქვეყნებთან ხელსაყრელი საიმიგრაციო რეჟიმების მისაღწევად.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ საუბრობს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამოქალაქეებზე და მათთან დაკავშირებით გასა-

ტარებელ ღონისძიებებზე საკუთარ საარჩევნო პროგრამაში. ეს უცნაურია ყოფილი მმართველი პარტიის მხრიდან, რომელიც 2004-2012 წლებში წარმართავდა ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკას და შესაბამისად ჰქონდა თავისი პოლიტიკა დიასპორებთან დაკავშირებით („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, არჩევნები 2016).

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“

ზემოთ უკვე აღინიშნა, რომ ზოგი პარტიის პროგრამა დიასპორასთან დაკავშირებით შემოიფარგლებოდა მხოლოდ დაპირებით იმის შესახებ, რომ საზღვარგარეთ წასული თანამემამულეებისათვის შეიქმნება დაბრუნების პირობები. პატრიოტთა ალიანსის პროგრამაში არ იყო მოცემული არანაირი კონკრეტული წინადადებები თუ როგორ უნდა იმუშაონ სოციალური მიზეზებით საქართველოდან წასულ ემიგრანტებთან, რომ ისინი დაინტერესდნენ და გაუჩნდეთ სამშობლოში დაბრუნების სურვილი. პარტია მოცემული გეგმის გარეშე ჰპირდებოდა ამომრჩეველს, რომ ქართველი ემიგრანტების დაბრუნებას სამშობლოში სწორედ „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ უზრუნველყოფს.

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საკუთარ საარჩევნო პროგრამაში დიდ ადგილს უთმობდა თურქეთს და მასთან დაკავშირებით საქართველოს პოზიციას. სწორედ თურქეთთან დაკავშირებული საკითხების განხილვისას პარტია ყურადღებას ამახვილებდა ამ სახელმწიფოში მცხოვრებ ქართულ ისტორიულ დიასპორაზე და საქართველოს მხრიდან გადასადგმელ ნაბიჯებზე მათთან დაკავშირებით. პროგრამაში ხაზგასმული იყო, რომ „საქართველო ღიად უნდა აცხადებდეს მთელ მსოფლიოში, რომ ჩვენი ტერიტორიის 33 % თურქეთმა მიიტაცა 95 წლის წინ და ამ ტერიტორიაზე ცხოვრობს ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი, ვინც დღესაც აცხადებს, რომ ქართველია. ჩვენ ყველგან უნდა ვამბობდეთ და მთელ მსოფლიოს გავაგებინოთ, რომ ამ ხალხს წაართვეს გვარი და სახელი, წაართვეს რწმენა; ენა ბევრმა შეინარჩუნა, მაგრამ ძალიან ბევრმა დაკარგა“

(„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, საარჩევნო პროგრამა 2016). პარტიის პროგრამაში მოცემული იყო ის ნაბიჯები, რომელიც საქართველოს მთავრობამ უნდა გადადგას იმისათვის, რომ უკეთესი პირობები შეექმნას წარმოშობით ქართველ მოსახლეობას მეზობელ ქვეყანაში - „გაიხსნას ქართული სკოლები, ქართული კულტურის ცენტრები და ქართველებმა ქართველობა - ენა და გვარი შეინარჩუნონ“ („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, საარჩევნო პროგრამა 2016). პროგრამის მიხედვით სწორედ ამ საშუალებებით ხედავდა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ თურქეთში საქართველოს ისტორიულ დიასპორასთან უფრო მეტი დაახლოების და მისი წევრებისათვის ქართული იდენტობის შენარჩუნების შესაძლებლობას.

გარდა ამისა, წარმოვადგენთ პარლამენტს გარეთ დარჩენილი რამდენიმე პარტიის პოზიციასაც, რომელთაც გადალახეს 3%-იანი ბარიერი. ესენია:

- „ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“
- „ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები“
- „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“
- „პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“

„ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“

ნინო ბურჯანაძის პარტიის პროგრამაში გარკვეული ყურადღება ეთმობოდა სახელმწიფოს ურთიერთობას დიასპორასთან და ამ მიმართულებით გადასადგმელ ნაბიჯებს. ხაზგასმული იყო დიასპორის მატერიალური დახმარება, რომელიც „ინარჩუნებს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკურ და სოციალურ მდგრადობას“; ასევე აღნიშნული იყო, რომ დიასპორის წევრები უფრო აქტიურად უნდა იყვნენ ჩართულნი საქართველოს განვითარებაში. პარტიაში გამოყოფდნენ სახელმწიფოს მოვალეობას, იზრუნოს ქვეყნის შიგნით ხელსაყრელი პირობების შექმნისათვის, რომ ქართველებს აღარ მოუწიოთ საზღვარგარეთ სამუშაოს საძებნელად წასვლა.

პარტია პროგრამაში ემიგრაციული პროცესებს აკავშირებდა საქართველოში დემოგრაფიულ პრობლემებთანაც. „დემოკრატიული მოძრაობა“ ყურადღებას აქცევდა საზღვარგარეთ გასული ქართველების ასაკსა და მათ როლზე საქართველოში დემოგრაფიულ პროცესებში.

„დემოკრატიული მოძრაობა“ საარჩევნო პროგრამაში ყურადღებას ამახვილებდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა უფლებაზე - მიიღონ საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში მონაწილეობა და ამომრჩეველს ჰპირდებოდა, რომ მისი გამარჯვების შემთხვევაში სახელმწიფო ყველაფერს გააკეთებდა ამ უფლების მოსაპოვებლად. თუმცა იმის გათვალისწინებით, რომ საზღვარგარეთ ლეგალურად მყოფ საქართველოს მოქალაქეებს აქვთ უფლება მიიღონ მონაწილეობა საქართველოში ჩატარებულ არჩევნებში, პროგრამის ეს ნაწილი ბუნდოვანია.[2]

პარტია უცხოეთში მცხოვრები ქართველებისათვის „ქართული სახლების“ არსებობის მნიშვნელობაზე საუბრობდა, რომლებიც ორიენტირებული იქნება ქართული კულტურის პოპულარიზაციაზე, აგრეთვე ეკონომიკური პოტენციალისა და ექსპორტის წახალი-

---

[2] საზღვარგარეთ მყოფ ამომრჩევლებს შეუძლიათ მონაწილეობა მიიღონ საქართველოს პარლამენტისა და საქართველოს პრეზიდენტის არჩევნებში, ასევე რეფერენდუმში.
არჩევნებში მონაწილეობის უფლება აქვთ:

- კენჭისყრის დღეს სხვა სახელმწიფოში მყოფ ამომრჩევლებს, რომლებიც დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე;
- ამომრჩევლებს, რომლებიც არ დგანან საქართველოს საკონსულო აღრიცხვაზე, მაგრამ არჩევნების დღემდე არაუგვიანეს 21-ე დღისა რეგისტრაციას გაივლიან სხვა სახელმწიფოში შექმნილ საუბნო საარჩევნო კომისიაში ან საკონსულო დაწესებულებაში.

საქართველოს 2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ამომრჩეველთათვის საზღვარგარეთ 55 საარჩევნო უბანი იყო შექმნილი 41 ქვეყანაში. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო 4816 ამომრჩეველმა. http://cesko.ge/geo/static/1605/amomrcheveli-sazghvargaret

სებაზე („ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“, პროგრამა 2016).

„ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები“

„ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები“ საარჩევნო პროგრამაში არ გვხვდება პუნქტები საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებზე და მათთან დაკავშირებით საკუთარ გეგმებზე გამარჯვების შემთხვევაში („ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები“, თავისუფალი დემოკრატების პლატფორმა 2016).

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“

ლეიბორისტული პარტიაც თავის საარჩევნო პროგრამაში მცირე ადგილს უთმობდა საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველებს და აღნიშნავდა, რომ სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს პირობები „საქართველოდან გადახვეწილთა უკან დასაბრუნებლად“ („საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო ვალდებულებები 2016).

ლეიბორისტული პარტია საარჩევნო პროგრამაში ყურადღებას ამახვილებდა საკვირაო სკოლების მნიშვნელობაზე ყველა ქალაქში, სადაც კომპაქტურად ცხოვრობენ ქართველები, რათა „იქ დაბადებული მომავალი თაობა გაიზარდოს ქართულად“ („საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, საქართველოს ლეიბორისტული პარტიის საარჩევნო ვალდებულებები 2016). პარტია ასევე ამომრჩეველს გამარჯვების შემთხვევაში ჰპირდებოდა, რომ იმუშავებდა ორმაგი მოქალაქეობის მინიჭებაზე ქართველი ემიგრანტებისათვის, რომლებიც ცხოვრობენ მეგობრულად განწყობილ ქვეყნებში. „საქართველოს ლეიბორისტული პარტია“ „დაბრუნების ფონდზე“ ამახვილებდა ყურადღებას, რომლის მიზანი იქნებოდა ქართველების საქართველოში დაბრუნების ხელშეწყობა, მათი სათანადოდ მოწყობა და ადაპტაცია. პარტიაში განმარტავენ, რომ „დაბრუნების ფონდი“-ს ძირითადი დამფინანსებელი, მათი გამარჯვების შემთხვევაში, სა-

ხელმწიფო იქნებოდა, თუმცა დიასპორის წევრებს, რომელთაც ექნებოდათ სურვილი, შეძლებდნენ დახმარება გაეწიათ ამ ფონდისათვის. ამავე ფონდის სახსრებით იქნებოდა შესაძლებელი საკვირაო სკოლების მოწყობა. მართალია, პარტია გარკვეულ ყურადღებას მაინც უთმობდა უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს, თუმცა არანაირი კონკრეტული გეგმა და სტრატეგია არ იყო მოცემული, რის მიხედვითაც შეძლებდა დანაპირების შესრულებას. პარტიის წევრების განმარტებით, მათ ჰქონდათ საორიენტაციო კურსი - ყველანაირი დახმარება და ხელშეწყობა ქართველთა დასაბრუნებლად სამშობლოში, კონკრეტული გეგმის შემუშავება კი შესაძლებელი იქნებოდა არჩევნებზე სხვა შედეგის და შესაბამისად „ლეიბორისტული პარტიის“ გამარჯვების შემთხვევაში.

„პაატა ბურჭულაძე-სახელმწიფო ხალხისთვის“ - აღნიშნული პარტიის პროგრამა საერთოდ არ იძებნება დოკუმენტის სახით.

დასკვნა

პოლიტიკურ პარტიათა პროგრამების განხილვისას გამოიკვეთა, რომ სტატიაში გამოთქმული ჰიპოთეზა დადასტურდა: იმ პარტიებს, რომლებიც საკუთარ საარჩევნო პროგრამებში ყურადღებას უთმობდნენ დიასპორასთან დაკავშირებულ საკითხებს, კონკრეტული გეგმა არ გააჩნდათ სამოქმედოდ. მათი სურვილი გასაგებია - ისინი ჰპირდებოდნენ ამომრჩეველს, რომ გამარჯვების შემთხვევაში ხელს შეუწყობდნენ ქართველების დაბრუნებას საქართველოში, თუმცა ამ გზაზე გადასადგმელი ნაბიჯები არჩევნებამდე გაწერილი არ ჰქონდათ. ერთ-ერთი მათგანი კი ღიად აცხადებდა, რომ მხოლოდ ხელისუფლებაში მოსვლის შემდგომ ჩამოაყალიბებდა კონკრეტულ სამოქმედო გეგმას.

გასაკვირია, მაგრამ ფაქტია, რომ პოლიტიკური პარტიები არათუ სახავდნენ სამოქმედო გეგმებს დიასპორასთან ურთიერთობის თვალსაზრისით, არამედ მათი გარკვეული ნაწილი საერთოდ არ ახსენებდა საარჩევნო პროგრამებში საზღვარგარეთ მცხოვრებ საქარ-

თველოს მოქალაქეებს. ამით კი შესაძლოა საკმაოდ მნიშვნელოვანი ხმები დაკარგეს საარჩევნოდ.

გამოყენებული ლიტერატურა:

„ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველო“, *საარჩევნო პროგრამა 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები,* http://41.ge/program

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“, *არჩევნები 2016,* http://www.unm.ge/ge/about-us/programa

„ნინო ბურჯანაძე-დემოკრატიული მოძრაობა“, *პროგრამა 2016,* http://www.democrats.ge/images/banners/prog.pdf

„ირაკლი ალასანია-თავისუფალი დემოკრატები“, *თავისუფალი დემოკრატების პლატფორმა 2016*, http://www.democrats.ge/images/banners/prog.pdf

„საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“, *საარჩევნო პროგრამა 2016* file:///C:/Users/User/Downloads/inashvili_programa.pdf

„საქართველოს ლეიბორისტული პარტია“, *საქართველოს ლეიბ-ორისტული პარტიის საარჩევნო ვალდებულებები 2016* HTTP://WWW.LABOUR.GE/GE/%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%95%E1%83%90-

მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისია, *საქართველოს 2016-2020 წლების მიგრაციის სტრატეგია,* 2015. http://diaspora.gov.ge/nd/wp-content/uploads/2016/03/2016-2020ww.migraciis%20strategia.pdf

Vertovec, S. (2005). *The Political Importance of Diasporas*. Oxford: Centre on Migration, Policy and Society (COMPAS)

http://www.presa.ge/new/?m=diaspora&AID=8780

http://cesko.ge/geo/static/1605/amomrcheveli-sazghvargaret

http://liberali.ge/news/view/16243/araofitsialuri-statistikit-sazghvargaret-daakhloebit-1-607-744-qartveli-tskhovrobs

Tamar Orjonikidze

Issues related to the Diaspora in the Election Programs of Georgian Political Parties during the Parliamentary Elections 2016

Abstract

Except historical Diasporas, more than million citizens of Georgia live abroad at present. Majority of them shall be considered as temporary migrants who are gone abroad, looking for jobs. The diasporas have a great importance as for its representatives' family also for Georgian economics. In accordance with the abovementioned Georgia needs well-planned policy regarding to Diaspora.

One of the most important challenges for Georgian political parties is study of interests of Diaspora members, their problems and ways for more close relationships with Georgia, and relevant political elaboration of the mentioned issues. In the article based on the content analysis of the pre-election platforms of political subject which participated in the 2016 parliamentary elections is discussed their visions regarding to the relationship with Diaspora. Namely, in the work is discussed that part of the election programs of those political parties, which overcame 5% threshold and got into parliament. („Georgian Dream - Democratic Georgia"; „United National Movement", "Alliance of Patriots of Georgia"). Also is presented the programs of those parties which overcame 3% threshold ("Nino Burjanadze - Democratic Movement"; "Irakli Alasania – Free Democrats"; "Georgian Labour Party"; "Paata Burchuladze-State for the People");

„Georgian Dream" related with the other parties paid great attention to diaspora in its election program. Party fixed its attention on those projects which had been already fulfilled or were planned to be implemented after their win in elections. In the Article the part of pre-election platform of "Georgian Dream" related to the Diaspora is

compared with the “Migration Strategy of Georgia of 2016-2020”, which was drafted during their government period. In the election programs of “United National Movement” and “Irakli Alasania – Free Democrats” nothing was said about the Georgian citizens living abroad. „Alliance of Patriots of Georgia” in their pre-election program paid attention only on the historical Diaspora of Georgia living in Turkey. „Nino Burjanadze – Democratic Movement” regarding to the Diaspora was talking about the importance of the creation of “Georgian Houses” abroad, which would be focused on the promotion of Georgian culture. “Georgian Labour Party” discussed the importance of the “Returning Fund”, which served to the return back of Georgia to its past, their arrangement and adaptation. “Georgian Dream” in its policy regarding Diaspora may take into account initiatives of other parties. For example “Georgian Houses” and “Returning Fund”.
Keywords: Georgia; Diaspora Politics; Political Parties; Election.